განკარგულება:**გ-49. 4925283001**
თარიღი:**10/10/2025**

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 7 ოქტომბრის №48-482528015 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება“ 2025 წლის 01 ოქტომბერს დაიდო საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად :

1. დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 01 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი